



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოსაზრებები „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების თაობაზე.**

მოსაზრებების და შენიშვნების შემუშავების პროცესზე პასუხისმგებელი პირი ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოდან: **ადვოკატი ირაკლი ყანდაშვილი**

[აღნიშნული რეკომენდაციები მომზადებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის განვითარების კომიტეტის და ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატების მიერ]

**„მედიაციის შესახებ“**

**საქართველოს კანონის პროექტი**

მოსაზრებები შეეხება შემდეგ მუხლებს :

**1) მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

► კომენტარი/შენიშვნა: მედიატორის ტერმინის განმარტება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) მედიატორი - ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს და გამოთქვამს თანხმობას, წარმართოს მედიაციის პროცესი;

**2) მუხლი 4. მედიატორის არჩევა/დანიშვნა**

3. სასამართლო მედიაციის დროს მხარეები მედიატორს არჩევენ მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან სასამართლოს მიერ შედგენილი და მხარეებისათვის შეთავაზებული კანდიდატურების სიიდან. თუ სასამართლოს მიერ მხარეთათვის სიის შეთავაზებიდან 3 დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან მედიატორის კანდიდატურაზე, სასამართლოს მიმართვის საფუძველზე, მედიატორს მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან ნიშნავს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

► კომენტარი / შენიშვნა: უპრიანია მედიატორის დანიშვნა განხორციელდეს არა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ არამედ დაინიშნოს მედიატორი რეესტრიდან სითი შემადგენლობის შესაბამისად ყოველი შემდეგი მედიატორის სახით.



აღნიშნულით ერთი მხრივ, არ მოხდება გარეშე პირის ჩარევით მედიატორის დანიშვნა, რაც გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვს დავის მხარეთა შორის მედიატორის შერჩევის პროცესისადმი, ისევე როგორც დანიშვნის პროცესი იქნება უფრო დროული და მეორე მხრივ, განაპირობებს საზოგადოების მეტ ნდობას მედიაციის ინსტიტუტისადმი.

### 3) მუხლი 4. მედიატორის არჩევა/დანიშვნა

4. კერძო მედიაციის დროს მხარეებს შეუძლიათ მედიატორად დანიშნონ ნებისმიერი პირი, მათ შორის, მედიატორთა ერთიან რეესტრში ჩარიცხული მედიატორი, რომელიც ვალდებულია მედიაციის პროცესი წარმართოს ამ კანონით დადგენილი პრინციპებისა და წესების შესაბამისად. მედიატორის არჩევის თაობაზე მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეთა მიმართვის საფუძველზე მედიატორს მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან ნიშნავს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

► *კომენტარი/შენიშვნა: ნებისმიერ პირში უნდა მოიაზრებოდეს პირი, რომელიც არის შეყვანილი მედიატორთა ერთიან რეესტრში ანუ მედიატორი.*

### 4) მუხლი 9. მედიაციის დასრულება

3. სამედიაციო მორიგება ფორმდება წერილობით და მას ხელს აწერენ მხარეები და მედიატორი.

► *კომენტარი/შენიშვნა: პუნქტში უპრიანია დამატებით მიეთითოს, რომ მედიატორი უფლებამოსილია მოაწეროს ხელი სამედიაციო მორიგებას.*

### 5) მუხლი 10. კონფიდენციალობის ვალდებულება

1. მედიაციის პროცესი, ისევე, როგორც თავად ფაქტი მედიაციის მიმდინარეობის შესახებ, კონფიდენციალურია. კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულია მედიაციის მიმდინარეობისას ან სხვაგვარად უკავშირდება მედიაციის პროცესს, თუ ინფორმაციის გამცემ პირსა და მხარის/მხარეთა შეთანხმებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ასევე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის გამჟღავნება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერების მომენტის განსაზღვრისათვის არის აუცილებელი.



კომენტარი: უფრო ზუსტი ფორმულირება იქნება თუ „ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულია მედიაციის მიმდინარეობისას“ შეიცვლება „ცნობილი გახდა მედიაციის პროცესში“. ასევე უფრო დაკონკრეტდება ინფორმაციის სახე თუ „უკავშირდება მედიაციის პროცესს“ შეიცვლება „არსებითად გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან“, ვინაიდან მედიაციის პროცესს, შესაძლოა უკავშირდებოდეს ისეთი ინფორმაციაც, რომლის კონფიდენციალობის დაცვაც არ იყოს აუცილებელი. მხოლოდ არსებითად უნდა გამომდინარეობდეს მედიაციის პროცესიდან, რომ მოხვდეს დაცვის ფარგლებში.

კომენტარი: რაც შეეხება გამონაკლისს, ინფორმაციის გამცემ პირსა და მხარეთა შორის შეთანხმება წერილობითი ფორმით უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

**აქედან გამომდინარე, უმჯობესია მუხლის ეს ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

1. მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მედიაციის პროცესში ან არსებითად გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან, თუ ინფორმაციის გამცემ პირსა და მხარის/მხარეთა წერილობითი შეთანხმებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ასევე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის გამჟღავნება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერების მომენტის განსაზღვრისათვის არის აუცილებელი.

## 6) მუხლი 10. კონფიდენციალობის ვალდებულება

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინფორმაციის გამჟღავნება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული ინფორმაციის კონფიდენციალობა გარეშე პირებისა და ფართო საზოგადოებისაგან.

**უმჯობესია მუხლის ეს ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინფორმაციის გამჟღავნება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული ინფორმაციის კონფიდენციალობა ნებისმიერი მესამე პირისგან.

## 7) მუხლი 11. მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი

3. სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორი ვალდებულია ყოველი წლის განმავლობაში საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ მიწოდებულ, სასამართლო მედიაციის პროგრამით განსაზღვრული ოდენობის დავებზე სასამართლო მედიაციის პროცესი წარმართოს ანაზღაურების გარეშე (Pro Bono).



*უმჯობესია მუხლის ეს ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

3. სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორი უფლებამოსილია ყოველი წლის განმავლობაში საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ მიწოდებულ, სასამართლო მედიაციის პროგრამით განსაზღვრული ოდენობის დავებზე სასამართლო მედიაციის პროცესის წარმართოს ანაზღაურების გარეშე (Pro Bono).

#### **8) მუხლი 15. მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო**

1. მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო (შემდგომ - აღმასრულებელი საბჭო) უზრუნველყოფს მედიატორთა სერტიფიცირებას და მედიატორთა ერთიანი რეესტრის წარმოებას.

*უმჯობესია მუხლის ეს ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით და დაკონკრეტდეს:*

1. მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო (შემდგომ - აღმასრულებელი საბჭო) უზრუნველყოფს მედიატორთა სერტიფიცირებას და მედიატორთა ერთიანი რეესტრის წარმოებას ამ კანონის მე-14 მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების გათვალისწინებით.

#### **9) მუხლი 15. მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო**

3. მედიაციის სფეროში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის საქართველოში დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მედიატორთა ასოციაციის საქმიანობაში საკონსულტაციო ფუნქციით შეიძლება ასევე მონაწილეობა მიიღონ უცხოელმა ექსპერტებმა.

▶ *კომენტარი:* იმისათვის, რომ ადგილობრივ ექსპერტებს არ შეეზღუდოთ მედიატორთა ასოციაციის საქმიანობაში საკონსულტაციო ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობა, უმჯობესია „უცხოელი“ ექსპერტების დაცვლად ჩაიწეროს „მოწვეული ექსპერტი“.

*უმჯობესია მუხლის ეს ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

3. მედიაციის სფეროში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის საქართველოში დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მედიატორთა ასოციაციის საქმიანობაში საკონსულტაციო ფუნქციით შეიძლება ასევე მონაწილეობა მიიღონ მოწვეულმა ექსპერტებმა.



## 10) მუხლი 18. გარდამავალი დებულებანი

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პროცესში საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს მედიაციის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თითო წარმომადგენლის მონაწილეობა.

კომენტარი: *უმჯობესია მუხლის ეს ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პროცესში საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს მედიაციის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, თითო წარმომადგენლის მონაწილეობა.



## საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

### პროექტი

მოსაზრებები შეეხება შემდეგ მუხლებს:

#### 1) მუხლი 187<sup>1</sup>

1. სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე შეიძლება გადაეცეს მედიატორს დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით.“.

#### კომენტარი:

*უმჯობესია დავაზუსტოთ და სასამართლოში წარდგენის ნაცვლად ჩაიწეროს : სასამართლოს მიერ წამრმოებაში მიღება.*

#### 2) 205-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> და 1<sup>2</sup> ნაწილები:

1<sup>1</sup>. თუ ამ კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით ან 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სარჩელის/შესაგებლის შედგენისას მოსარჩელემ ან/და მოპასუხემ უარი თქვა დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვაზე, მოსამზადებელ სხდომაზე, ან მხარეებთან სატელეფონო გასაუბრების ან ვიდეოკონფერენციის დროს მოსამართლე ვალდებულია გამოარკვიოს ასეთი უარის მიზეზები და განუმარტოს მხარეს/მხარეებს დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვის დადებითი მხარეები და მისი სამართლებრივი შედეგები.

#### კომენტარი:

*უმჯობესია მოსამართლის ნაცვლად ჩაიწეროს სასამართლო.*

*საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია განსაკუთრებით მიესალმება „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-14 მუხლის მე-4 ნაწილის რედაქციას და აფიქსირებს მზაობას აქტიურად ჩაერთოს კანონის პროექტის განხილვის შემდგომ სტადიებზე.*

*გთხოვთ უზრუნველყოთ ასოციაციის ჩართულობა ყველა ეტაპზე!!!*